



საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	<b>ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)</b>
განათლების საფეხური	<b>უმაღლესი განათლების მეორე საფეხური - მაგისტრატურა</b>
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	<b>ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი Master of Art History and Theory</b>
პროგრამის მოცულობა ECTS	120 კრედიტი: 1 კრედიტის მოცულობა - 25 სთ. სწავლება 4 სემესტრი - 1 სემესტრი 15-სასწავლო კვირა; 4-სასესიო კვირა. 35 კრედიტი საერთო საგნები, 35 კრედიტი მოდულის სავალდებულო საგნები, 20 კრედ. არჩევითი საგნები, სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტი.
სწავლების ენა	ქართული
სწავლის ღირებულება	1500 ლარი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს:</li> <li>✓ ხელოვნებათმცოდნეობის ბაკალავრის ხარისხი/ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ხელოვნებათმცოდნეობაში;</li> <li>✓ ბაკალავრის ხარისხი ხელოვნებაში, არქიტექტურაში, რესტავრაცია/კონსერვაციის, კულტურის კვლევების მიმართულებით.</li> <li>✓ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი ხელოვნებათმცოდნეობის დამატებითი (minor) პროგრამის ან ხელოვნების ისტორიის არჩევითი კურსების გავლით.</li> <li>✓ საერთო სამაგისტრო გამოცდა.</li> <li>✓ სასპეციალიზაციო ზეპირი გამოცდა საგანში - „ მსოფლიო და ქართული ხელოვნების ისტორია“.</li> </ul> <p>დეტალური ინფორმაცია სასპეციალიზაციო გამოცდის საკითხები, ჩატარების წესის, ფორმისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ განთავსდება ბხსუ-ს ვებ-გვერდზე: <a href="http://www.batu.edu.ge">www.batu.edu.ge</a> (პროგრამაზე მისაღების სასპეციალიზაციო გამოცდის საკითხები და ლიტერატურა - იხ. დანართი V). <i>სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტი სწავლის დაწყებამდე გაივლის უცხო ენის დონის დასადგენ ტესტირებას.</i></p>
მისაღები კონტინგენტი	საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ხორციელდება ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული კონტინგენტის მიხედვით.
პროგრამის მიზანი	<p><b>ხელოვნების ისტორიისა და თეორიის პროგრამის მიზანია:</b> მისცეს სტუდენტს ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა ქართული ხელოვნების ისტორიაში. გაიაზროს ძველი და თანამედროვე ქართული არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების თვითმყოფადობის, იდენტობის საკითხები შესაბამისი პერიოდის მსოფლიო კულტურებთან მიმართებაში. მოამზადოს სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევის ჩატარებას, ხელოვნებაში მიმდინარე პროცესების გაანალიზებას, ინტერდისციპლინურ კვლევებში მონაწილეობის მიღებას, ხელოვნების ნაწარმოებთა ადეკვატურ შეფასებას, შესწავლას, კვლევის შედეგების მეცნიერებაში შემოტანას, ქართული ხელოვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას.</p> <p><b>პროგრამა სტუდენტს სთავაზობს ორ მოდულს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ძველი ქართული ხელოვნების ისტორია;</li> <li>• თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორია.</li> </ul>

● მოცემული მოდულებიდან სტუდენტი ირჩევს ერთ-ერთს, იგი ვალდებულია მოდულის არჩევანი გააკეთოს მაგისტრატურაში სწავლის პირველივე სემესტრში.

**ძველი ქართული ხელოვნების ისტორიის მოდულის მიზანია:** ძველი ქართული არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების დარგების განვითარების, მხატვრული ამოცანების ღრმა და სისტემური შესწავლა; ქართული ხელოვნების, იდეური და საღვთისმეტყველო საფუძვლების გააზრება ეპოქის ისტორიულ კონტექსტში; ძველი ქართული ხელოვნების დარგების მხატვრული ამოცანების, სახვითი ენის თავისებურებების გააზრება თანადროული ხანის მსოფლიო და ქართული კულტურის მოვლენებთან მიმართებაში; ხელოვნების ნაწარმოების იდეურ-მხატვრული და სტილისტური ანალიზის, პრობლემის ისტორიულ-კულტურულ ჭრილში განხილვის, კვლევითი უნარების გაღრმავება.

ძველი ქართული ხელოვნების ისტორიის მოდულის აქტუალობას განსაზღვრავს კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის, დაცვისა და პოპულარიზაციის პრიორიტეტული მნიშვნელობა ქვეყანაში, ასევე კულტურული ტურიზმის პერსპექტივები, კულტურული მემკვიდრეობის სფეროს მაღალი კომპეტენციების მქონე სპეციალისტების მოთხოვნა შრომის ბაზარზე როგორც სამეცნიერო, სამუზეუმო, ტურისტული ასევე საგანმანათლებლო მიმართულებით.

**თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორიის მოდულის მიზანია:**

ახალი და უახლესი ქართული ხელოვნების ისტორიის პრობლემების საფუძვლიანი შესწავლა მსოფლიო კულტურის მოვლენებთან კონტექსტში; ახალი და თანამედროვე არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების დარგების ისტორიული განვითარების, მხატვრული მიღებების, სტილისტური ტენდენციების შეფასება თანამედროვე მსოფლმხედველობით; ქართულ ხელოვნებაში მიმდინარე პროცესების ანალიზის, მოვლენათა კულტურულ-ისტორიული ჭრილში შესწავლის უნარების დაუფლება. ისეთი სპეციალისტების ჩამოყალიბება, რომლებიც შეძლებენ თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაციას, ტრადიციისა და თანამედროვეობის ურთიერთ-მიმართების წარმოჩენას.

თანამედროვე ქართული ხელოვნების მოდულის აქტუალობა განპირობებულია სახელოვნებო სივრცის გლობალიზაციის, მხატვრული პროცესების კვლევის, ხელოვნებისა და სპეციალისტების დასავლურ სამყაროსთან ინტეგრაციის, ქართული ხელოვნების პოპულარიზაციის თვალსაზრისით.

თანამედროვე გამოწვევები - საქართველოში მიმდინარე ურბანული პროცესები, კულტურული მემკვიდრეობის კვლევის, მოვლა-პატრონობის, ტურისტულ რესურსად გამოყენების, ქართული ხელოვნების ღირებულებების გლობალურ სამყაროში წარმოჩენის ამოცანები განაპირობებს შრომის ბაზრის მოთხოვნას ცვალებად გარემოსთან ადაპტირებადი, მეცნიერული და პრაგმატული უნარების მქონე მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებზე. ასევე, მოზარდი, ახალგაზრდა თაობების აღზრდისათვის მნიშვნელოვანი სახელოვნებო განათლების აუცილებლობა განაპირობებს შრომის ბაზრის მოთხოვნას პედაგოგიური უნარების მქონე ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრის კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებზე.

### სწავლის შედეგი

#### ცოდნა და გაცნობიერება

- ✓ აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ხელოვნების ისტორიის განვითარების, მხატვრულ-ისტორიული კანონზომიერებების შესახებ;
- ✓ აქვს ხელოვნების ნაწარმოების აღწერის, ანალიზისა და კვლევის უნარი, იცის ხელოვნებათმცოდნეობის დარგის სპეციფიკა, კვლევის პრინციპები და მეთოდები;
- ✓ იცის ქართული ხელოვნების თვითმყოფადობა, თავისებურებები და მისი მიმართება შესაბამის ისტორიულ გარემოსთან;
- ✓ გააზრებული აქვს ქართული ხელოვნების მნიშვნელობა მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში;
- ✓ აქვს ნამუშევრის, ისტორიული ეპოქის მხატვრულ-ისტორიული ღირებულების განსაზღვრისა და შეფასების უნარი;
- ✓ იცის კულტურის სამართლის ნორმატიული საფუძვლები;
- ✓ იცის თანამედროვე პედაგოგიკისა და სწავლა/სწავლების ახალი ტექნოლოგიები;
- ✓ ხელოვნების ფილოსოფიის ასპექტები;
- ✓ იცის კულტურული მემკვიდრეობის მართვისა და დაცვის ძირითადი პრინციპები;

	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ აქვს სამუზეუმო საქმის, მუზეუმის მენეჯმენტის თეორიულ-პრაქტიკული პრინციპების ცოდნა.</li> </ul> <p><b>მოდული: ძველი ქართული ხელოვნების ისტორია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ აქვს საფუძვლიანი ცოდნა უძველესი და ანტიკური პერიოდის, შუა საუკუნეების არქიტექტურის, კედლის მხატვრობის, რელიეფური ქანდაკების, მინიატურის და სხვა საკთხების შესახებ;</li> <li>✓ ფლობს ცოდნას იმ რელიგიური თუ ისტორიული კონტექსტების შესახებ, რამაც განაპირობა თვითმყოფადი ქართული ხელოვნების ჩამოყალიბება და განვითარება;</li> <li>✓ გაცნობიერებული აქვს ძველი ქართული ხელოვნების მნიშვნელობა მსოფლიო კულტურის კონტექსტში;</li> <li>✓ იცის ძველი ქართული ხელოვნების იდეურ-მხატვრული, საღვთისმეტყველო საფუძვლები.</li> </ul> <p><b>მოდული: თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ აქვს საფუძვლიანი ცოდნა XIX-XX საუკუნეების მსოფლიო და ქართული ხელოვნების ისტორიისა და თეორიის აქტუალური პრობლემების ირგვლივ;</li> <li>✓ შეუძლია ქართული ხელოვნების უმნიშვნელოვანეს მოვლენათა გააზრება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში;</li> <li>✓ ფლობს ღრმა ცოდნას ხელოვნებათმცოდნეობითი სფეროს სპეციფიკის, შეფასების კრიტერიუმების, მხატვრული ანალიზის მეთოდოლოგიური საფუძვლებისა და მათი სამეცნიერო-პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების მხრივ.</li> </ul>
<p><i>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</i></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ გააჩნია ხელოვნებათმცოდნეობითი ლიტერატურის შერჩევის, დამუშავების და პრაქტიკაში გამოყენების, ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევისა და მოხსენების წარმოდგენის უნარი;</li> <li>✓ შეუძლია ხელოვნების ნიმუშების, მხატვრული მოვლენისა თუ პრობლემის მხატვრულ-სტილისტური მეთოდით შესწავლა;</li> <li>✓ შეუძლია ნამუშევრის მხატვრული ღირებულების განსაზღვრა, ანალიზი და მიღებული ცოდნის საფუძველზე კვლევითი ნაშრომის შექმნა.</li> <li>✓ შეუძლია ინტერდისციპლინურ კვლევებში მონაწილეობის მიღება;</li> <li>✓ აქვს ხელოვნებათმცოდნეობითი სფეროს სპეციფიკის, შეფასების კრიტერიუმების, მხატვრული ანალიზის მეთოდოლოგიური საფუძვლებისა და მათი სამეცნიერო-პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარი.</li> </ul> <p><b>მოდული: ძველი ქართული ხელოვნების ისტორია</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ შეუძლია შუა საუკუნეების ხელოვნების ნიმუშების, აქტუალური პრობლემების კვლევა ქრისტიანულ სამყაროსთან კონტექსტში;</li> <li>✓ გააჩნია უძველესი და შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის, კედლის მხატვრობის, რელიეფური ქანდაკების, მინიატურის და სხვა საკთხების ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევის უნარი;</li> <li>✓ შეუძლია მსჯელობა ხელოვნების მხატვრული პრობლემების, რელიგიური, მსოფლმხედველობრივი, ისტორიული კონტექსტების შესახებ;</li> <li>✓ შეუძლია ძველი ქართული ხელოვნების იდეურ-მხატვრული, საღვთისმეტყველო საფუძვლების წარმოჩენა და ანალიზი.</li> </ul> <p><b>მოდული: თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ გააჩნია XIX-XX საუკუნეების ქართული და მსოფლიო ხელოვნების ისტორიისა და თეორიის აქტუალური პრობლემების გამოკვეთისა და ანალიზის უნარი;</li> <li>✓ შეუძლია თანამედროვე ქართული არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების უმნიშვნელოვანეს მოვლენათა გააზრება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში;</li> <li>✓ შეუძლია კონკრეტული ეტაპის ნამუშევრის მხატვრული ღირებულების განსაზღვრა, ანალიზი, კრიტიკული შეფასება, კვლევა, პოპულირაციაცია.</li> <li>✓ შეუძლია ხელოვნებაში მიმდინარე პროცესების სოციალურ-პოლიტიკურ ჭრილში გააზრება და თანამედროვეობაში</li> </ul>

	გამოხატული პრობლემების დანახვა.
<b>დასკვნის უნარი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ შეუძლია ხელოვნების ისტორიის კონკრეტული ეპოქის ძირითადი პრობლემების გამოკვეთა და შეფასება;</li> <li>✓ შეუძლია ნამუშვრის ისტორიულ კონტექსტში გააზრება, მხატვრული თავისებურებების წარმოჩენა, ანალიზი და არგუმენტირებული დასკვნების გამოტანა;</li> <li>✓ გააჩნია სახელოვნებათმცოდნეო კვლევების კრიტიკული ანალიზის, ინფორმაციების სინთეზის უნარი.</li> </ul>
<b>კომუნიკაციის უნარი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ შეუძლია აზრის ზეპირი და წერილობითი ფორმით წარმოდგენა;</li> <li>✓ გააჩნია პროფესიულ და ფართო აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარი;</li> <li>✓ გააჩნია საჯარო გამოსვლების, სამეცნიერო ნაშრომის შექმნის უნარი, პრეზენტაციის წარმართვის უნარი;</li> </ul>
<b>სწავლის უნარი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ შეუძლია საკუთარი სასწავლო პროცესის ორგანიზება, დროის ეფექტურად გამოყენება;</li> <li>✓ აქვს ხელოვნების ისტორიის პრობლემათა გააზრების, ანალიტიკური ცოდნის გაღრმავების უნარი;</li> <li>✓ შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურის საფეხურზე.</li> </ul>
<b>ღირებულებები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ გააჩნია ხელოვნების, როგორც მხატვრული ღირებულებითი კატეგორიის შეფასების უნარი.</li> <li>✓ გააზრებული აქვს კულტურული ფასეულობების პატივისცემა და შეუძლია მისი საზოგადოებაში დამკვიდრება.</li> </ul>
<b>დასაქმების სფერო</b>	<p>კურსდამთავრებულთა დასაქმების სფერო:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>●უმადლეს სასწავლებლები</li> <li>●სამეცნიერო-კვლევით ცენტრები</li> <li>●მუზეუმებსა და გალერეები</li> <li>●მედია</li> <li>●ტურისტულ სააგენტოები</li> <li>●ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები მასწავლებლის სერტიფიკატის მოპოვების შემთხვევაში</li> <li>●კულტურის, სახელოვნებო პროფილის სამთავრობო და არასამთავრობო კომერციული და სახელმწიფო ორგანიზაციები</li> <li>●კულტურისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოები</li> </ul>
<b>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</b>	<p>სტუდენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, სადაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 0-60 ქულა, ხოლო დასკვნით გამოცდას 0-40 ქულა ( 60 ქულის ჩაშლა ინდივიდუალურია სხვადასხვა საგანში. იხ. სილაბუსები).</p> <p>სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებაში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულისა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოცდაზე არ დაიშვება.</p> <p>დასკვნითი გამოცდა - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა (0-19 ქულა „ჩაიჭრა“).</p> <p>სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებიდან:</p> <p>დადებითი შეფასება:</p> <p>(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p> <p>(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;</p> <p>ორი სახის უარყოფითი შეფასება:</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 0-40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p>



	<p>სტუდენტი“ჩაიჭრა“ შეფასებას ღებულობს აგრეთვე:</p> <p>ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე;</p> <p>ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● FX-ის ან დასკვნით შეფასებაში „ჩაიჭრა“ -ს მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.</li> <li>● <i>დეტალური ინფორმაცია სასწავლო კურსის ფარგლებში დაგეგმილი შეფასების კრიტერიუმების შესახებ აღწერილია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში.</i></li> </ul>
<p><b>სამაგისტრო ნაშრომი</b></p>	<p><b>სამაგისტრო ნაშრომი</b> ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით - 100 ქულიანი სისტემით. ნაშრომის მოცულობა, გაფორმების, წარდგენისა და დაცვის პროცედურები განსაზღვრულია ბხსუ-ს სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესისთ.</p>
<p><b>სწავლებისა და სწავლის მეთოდები</b></p>	<p><b>ევრისტიკული მეთოდი</b> – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება;</p> <p><b>ახსნა–განმარტებითი მეთოდი</b>–ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში;</p> <p><b>წერითი</b> - ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის შესრულება;</p> <p><b>დემონსტრირების მეთოდი</b> - ნახაზების, სქემების, ფოტოების, ვიდეომასალების ჩვენება და სხვ.</p> <p><b>პრაქტიკული მეთოდები</b> - აერთიანებს სწავლების ყველა ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, მაგალითად: მეგლებზე გასვლითი, სამუზეუმო, სავლე პრაქტიკა და სხვა.</p> <p><b>დისკუსია/დებატები</b>–დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს;</p> <p><b>ჯგუფური მუშაობა</b> - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;</p> <p><b>ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტული ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.</li> <li>- სწავლების დედუქციური მეთოდი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.</li> <li>- სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.</li> <li>- სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას;</li> <li>- ვიდეომასალის ანალიზი;</li> <li>- <b>პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება</b> - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას;</li> <li>- <b>როლური და სიტუაციური</b> თამაშები - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას</li> </ul>

აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს;

**ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია;

**პორტფოლიოს წარმოება-პრეზენტაცია.** პორტფოლიო არის სტუდენტის მიერ დროის გარკვეულ მონაკვეთში შესრულებული სამუშაოს ნაკრები (ესეი, სასწავლო დღიური, სტატია, ჩანაწერები. სტუდენტის მიერ დამოუკიდებლად მოპოვებული ინფორმაცია).

**გონებრივი იერიში** - ეს ეფექტური მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის, პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას.

**ლაბორატორიული მეთოდი** ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

**-სტუდენტთა აქტივობები:** ლექციაზე დასწრება, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მუშაობაში მონაწილეობა; ტესტირება, რეფერატის, პორტფოლიოს პრეზენტაციის მომზადება; დამოუკიდებელი მეცადინეობა; მოხსენება კონფერენციაზე; წყაროზე და ტექსტებზე დამოუკიდებელი მუშაობა; ინტერნეტ-რესურსების დამოუკიდებლად მოძიება; გამოცდების მომზადება-ჩაბარება; ზეპირი გამოკითხვა.

- სალექციო და ჯგუფში მუშაობის საათების განაწილება მითითებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში.

სილაბუსით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა სტუდენტს შეუძლია მიიღოს დამატებითი კონსულტაციები პროფესორ-მასწავლებელთაგან დადგენილი გრაფიკის შესაბამისად (კონსულტაციების გრაფიკი იხილეთ საინფორმაციო დაფაზე, სასწავლო ცხრილის გვერდით) ან დისტანციურად, ინტერნეტის მეშვეობით.

**სწავლის გაგრძელება** მაგისტრის ხარისხის მოპოვების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს სწავლა განაგრძოს დოქტორანტურაში.

**სასწავლო პროცესის საკადრო უზრუნველყოფა**

*აკადემიური პერსონალი*

<i>სახელი, გვარი</i>	<i>სტატუსი</i>	<i>საგანი</i>
მაია ჭიჭილეიშვილი	პროფესორი პროგრამის ხელმძღვანელი	ხელოვნების ნაწარმოების ანალიზი და კვლევის მეთოდები, შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების ისტორია (ჭედურობა, რელიეფური ქანდაკება, მინიატიურა), შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნება (კედლის მხატვრობა); თანამედროვე ქართული ქანდაკება.
რატი ჩიბურდანიძე	ასოცირებული პროფესორი პროგრამის თანახელმძღვანელი	მოდერნიზმი I (XIX ს-ის 70-იანი წლებიდან მეორე მსოფლიო ომამდე), მოდერნიზმი II (მეორე მსოფლიო ომიდან დღემდე), მსოფლიოს უახლესი არქიტექტურა, თანამედროვე ქართული მხატვრობა; თანამედროვე ქართული ქანდაკება
ერმილე მესხია	პროფესორი	სამუზეუმო პრაქტიკა, კულტურის მენეჯმენტი.
ხათუნა მანაგაძე	პროფესორი	XX ს-ის მუსიკის ძირითადი ტენდენციები
ინგა ხალვაში	ასოცირებული პროფესორი	კინემატოგრაფის ძირითადი ტენდენციები.
თეიმურაზ კეყერაძე	ასოცირებული პროფესორი	ქართული სცენოგრაფიის ისტორია, თანამედროვე ქართული თეატრის ისტორიის პრობლემები

მამუკა ჯორბენაძე	ასოცირებული პროფესორი	გლობალიზაცია და თანამედროვე პოპულარული კულტურები საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია და ტაქტიკა
ნინო მამულაძე	ასოცირებული პროფესორი	მარკეტინგული კომუნიკაციები
<i>მოწვეული პერსონალი</i>		
ლელა თავდგირიძე	მოწვეული პროფესორი	უმალესი სკოლის პედაგოგია
გიორგი მასალკინი	მოწვეული ასოცირებული პროფესორი	ხელოვნების ფილოსოფია; XX ს- ის ესთეტიკის ძირითადი თეორიები
ნინო ინაიშვილი	აკადემიური დოქტორი (I კატეგორიის სპეციალისტი)	უძველესი და ანტიკური ეპოქის ხელოვნების ძეგლები საქართველოში, ანტიკური არქეოლოგია და არქიტექტურა. კულტურული მემკვიდრეობის მართვა
ნინო ხარჩილავა	აკადემიური დოქტორი (I კატეგორიის სპეციალისტი)	ქართველი ხალხის ეთნოკულტურა
ლალი ლომთათიძე	I კატეგორიის სპეციალისტი	სწავლა/სწავლების ახალი ტექნოლოგიები. რუსული ენა
ზაზა კილაძე	I კატეგორიის სპეციალისტი	ძველი და ახალი აღთქმა, ქრისტიანული ლიტურჯიკა, საქართველოს ეკლესიის ისტორია, ქრისტიანული სიმბოლიკა და კანონიკა, ქრისტიანული დოგმატური ღვთისმეტყველება, ეკლესიის ისტორია.
მირზა ცეცხლაძე	II კატეგორიის სპეციალისტი	კულტურის სამართალი
სალომე ჩიკაშუა	I კატეგორიის სპეციალისტი	ინგლისური ენა
<b>სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>● ბხსუ უზრუნველყოფილია სასწავლო სახელოსნოებითა და თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით. პროგრამის განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობას.</li> <li>● ბხსუ-ს გააჩნია სასწავლო და სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც ჩართულია საერთაშორისო ქსელში Open Biblio და ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის;</li> <li>● ბხსუ-ს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, ასევე მემორანდუმები პედაგოგიური და საწარმოო პრაქტიკის ჩასატარებლად - კვალიფიკაციის შესაბამის სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან.</li> </ul>	

დანართი v

მისაღები გამოცდის ფორმა, შეფასების კრიტერიუმები და საგამოცდო საკითხები

საგანი: „მსოფლიო და ქართული ხელოვნების ისტორია“

მაგისტრატურაში მისაღები სასპეციალიზაციო გამოცდა „მსოფლიო და ქართული ხელოვნების ისტორიაში“ ჩატარდება ზეპირი ფორმით. გამოცდა ფასდება 100 ბალიანი სისტემით. საგამოცდო ბილეთი შედგება ოთხი საკითხისაგან, თითოეულის მაქსიმალური შეფასება 25 ქულა.

თითოეული საკითხის შეფასების კრიტერიუმები:

- ა) საკითხის ცოდნა 0 – 5
- ბ) ინფორმაციის სისრულე 0 – 5
- გ) ანალიზის უნარი 0 – 5
- დ) ლოგიკური მსჯელობის უნარი 0 – 5
- ე) დასკვნის უნარი 0 - 5

მაგისტრატურაში მისაღები გამოცდის საკითხები:

№	თემა	ლიტერატურა
1	V-VII სს-ის ქართული არქიტექტურა - ბოლნისის სიონი, მცხეთის ჯვარი და ჯვრის ტიპის ძეგლები, წრომისა და ბანას ტაძარები.	ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974; გ. აბრამიშვილი, პ. ზაქარაია, ი. ციციშვილი, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, თბ., 2000; დ. თუმანიშვილი, დ. ხოშტარია, მცხეთის წმინდა ჯვრის ტაძარი, თბ., 2008; Г. Чубинашвили, Памятники типа Джвари, Тбилиси, 1948.
2	გარდამავალი ხანის ქართული ხუროთმოძღვრება	ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974; გ. აბრამიშვილი, პ. ზაქარაია, ი. ციციშვილი, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, თბ., 2000;
3	X ს-ის ქართული ხუროთმოძღვრება- კუმურდოსა და ოშკის ტაძრები.	ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974; გ. აბრამიშვილი, პ. ზაქარაია, ი. ციციშვილი, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, თბ., 2000; В. Беридзе, Место памятников Тао-Кларджети в истории грузинской архитектуры, Тбилиси, 1981; ვ. ჯობაძე, ოშკის ტაძარი, თბილისი, 1991.
4	XI- ს-ის ხუროთმოძღვრება - ბაგრატის ტაძარი, სვეტიცხოველი, ალავერდი, სამთავრო, სამთავისი.	ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974; გ. აბრამიშვილი, პ. ზაქარაია, ი. ციციშვილი, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, თბ., 2000; პ. ზაქარაია, ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1999.
5	XI ქართული ოქრომჭედლობა- იშხნის, ბრეთის, მარტვილის საწინამძღვრო ჯვრები.	Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тбилиси, 1959.



6	XII- XIII სს-ის ქართული ოქრომჭედლობა - ბეშქენ და ბექა ოპიზრები	შ. ამირანაშვილი, ბექა ოპიზარი, თბილისი, 1956; Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тбилиси, 1959.
7	XI ს-ის ქართული კედლის მხატვრობა- ატენის სიონის მოხატულობა.	თ. ვირსალაძე, ატენის სიონის მოხატულობა, თბ., 1984; თ. ვირსალაძე, ქართული მხატვრობის ისტორიიდან, თბ., 2007.
8	XII- XIII სს-ის ქართული კედლის მხატვრობა (ვარძია, ყინცვისი, ბეთანია, ბერთუბანი)	ე. პრივალოვა, ვარძია, 1986; გ. გაფრინდაშვილი, ვარძია, ლენინგრადი, 1975; შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1955; დავით-გარეჯი, ნათლისმცემელი, ბერთუბანი, თბ., 2010.
9	XIX-XX სს-ის ქართული ხელოვნება - გ. გაბაშვილი, ი. ნიკოლაძე	ი. არსენიშვილი, გ. გაბაშვილი, თბ., 2011; თ. სანიკიძე, იაკობ ნიკოლაძე, თბ., 1963.
10	ნ. ფიროსმანაშვილი	გ. ხომტარია, ნიკო ფიროსმანაშვილის ნატიურმორტები, "საბჭოთა ხელოვნება", 1978, 10. ვ. ბერიძე, ნიკო ფიროსმანაშვილი, თბ., 2007
11	დ. კაკაბაძე	ლ. რჩეულიშვილი, დავით კაკაბაძე. თბილისი., 1983;
12	ელ. ახვლედიანი	ი. არსენიშვილი, ელენე ახვლედიანი, თბ., 2011 ელენე ახვლედიანი, სერია „დიდი მხატვრები“, თბ., 2011. ე. პრივალოვა. ელენე ახვლედიანი. საქართველოს საინფორმაციო სააგენტო. თბ., 1980. მ. კარბელაშვილი, ელენე ახვლედიანი, თბილისი, 1980. В. Беридзе, Н. Езерская. Искусство Советской Грузии 1921-1970. М., 1975
13	ლ. გუდიაშვილი	ლადო გუდიაშვილი, სერია „დიდი მხატვრები“, 2011; В. Беридзе, Н. Езерская. Искусство Советской Грузии 1921-1970. М., 1975. ვ. ბერიძე, გუდიაშვილი. ხელოვნება-თბილისი. კორვინა-ბუდაპეშტი, 1975; "ქართული მოდერნიზმი 1910-1930", თბილისი, 2005.
14	ძველი ეგვიპტის ხელოვნება (განვითარების ეტაპები, არქიტექტურა და ქანდაკება)	ვ. აფანასიევა, ე. ლუკონინი, ნ. პომერანცევა. ხელოვნების მცირე ისტორია. ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება. თბ. , 1986 ა. კლდიაშვილი, ნ. ლაღანიძე. ხელოვნების ისტორია. ძველი ეგვიპტე. თბ. , 2000 ნ. მაჭარაშვილი, ნ. სილაგაძე, მსოფლიო ხელოვნება. თბ., 2010 ე.კ. გომბრიხი, ხელოვნების ამბავი. თბ. 2012
15	ძველი საბერძნეთის ხელოვნება (არქაიკა, კლასიკური ეპოქა -არქიტექტურა, ქანდაკება)	ა. კლდიაშვილი. ანტიკური საბერძნეთი. თბ., 2014 წელი. გ. ლინდემანი, ჰ. ბეკჰოფი, ბერძნული არქაიკიდან ბაროკომდე. ტ. I. თბ. , 1992 ე. კ. გომბრიხი. ხელოვნების ამბავი. თბ. , 2012. ნ. მაჭარაშვილი, ნ. სილაგაძე, მსოფლიო ხელოვნება, თბ., 2010.
16	ძველი რომის ხელოვნება (რომის იმპერიის ეპოქის არქიტექტურა, რომაული სკულპტურული პორტრეტი	ნ. მაჭარაშვილი, ნ. სილაგაძე, მსოფლიო ხელოვნება, თბ., 2010. კ. მაჩაბელი, შედეგები და საუკუნეები, თბ., 2001. ე. კ. გომბრიხი. ხელოვნების ამბავი. თბ. , 2012.
17	იუსტინიანეს ეპოქის ბიზანტიური ხელოვნება (წმ. სოფიის ტაძარი, რავენის მოზაიკური მხატვრობა)	კ. მაჩაბელი, შედეგები და საუკუნეები, თბ., 2001. ნ. მაჭარაშვილი, ნ. სილაგაძე, მსოფლიო ხელოვნება, თბ., 2010 გ. ლინდემანი, ჰ. ბეკჰოფი, ბერძნული არქაიკიდან ბაროკომდე. ტ. I. თბ. , 1992. ე.კ. გომბრიხი, ხელოვნების ამბავი, თბ, 2012
18	აღორძინების ეპოქის ხელოვნება - ლეონარდო და ვინჩი, რაფაელი, მიქელანჯელო, ტიციანი	რენესანსის ეპოქის ხელოვნება. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბ. , 2011; ე.კ. გომბრიხი. ხელოვნების ამბავი. თბ. , 2012; ჯ. კლარკი, რენესანსიდან დღემდე. , ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია. თბ. , 2010;

		<p>კ. მაჩაბელი, შედეგები და საუკუნეები. , თბ. 2001;</p> <p>ნ. მაჭარაშვილი, ნ. სილაგაძე, მსოფლიო ხელოვნება, თბ., 2010.</p> <p>სერია „დიდი მხატვრები“ - ბოტიჩელი, ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, რაფაელი, ტიციანი, ტინტორეტო, ვერონეზე, დიურერი, ბოსხი, კრანახი, (2010-2011-2012 წწ).</p> <p>პ. ზაქარაია, მსოფლიოს ხელოვნების ოსტატები, თბ., 1986.</p>
19	<b>XVII ს-ის დას. ევროპის ხელოვნება (რუბენსის, რემბრანდტის, ველასკესის ფერწერა)</b>	<p>ე.პ. გომბრიხი. ხელოვნების ამბავი. თბ. , 2012;</p> <p>ჯ. კლარკი, რენესანსიდან დღემდე. , ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია. თბ. , 2010;</p> <p>ნ. მაჭარაშვილი, ნ. სილაგაძე, მსოფლიო ხელოვნება. თბ. , 2010;</p> <p>პ. ზაქარაია, მსოფლიოს ხელოვნების ოსტატები, თბ., 1986.</p> <p>სერია: „დიდი მხატვრები“. ელ გრეკო, თბ., 2011.; კარვაჯო, თბ., 2011.; რუბენსი, თბ., 2010.; რემბრანდტი, თბ., 2010.; ველასკესი, თბ., 2011.</p> <p>მხატვრობა - ილუსტრირებული ისტორია. თბ., 2014.</p> <p>მ. სთოქსთედი, მ. ვ. ქოთრენი, ხელოვნების ისტორია XVIII საუკუნიდან დღემდე, თბ, 2017.</p>
20	<b>მანე და იმპრესიონისტული ფერწერა</b>	<p>ე.პ. გომბრიხი. ხელოვნების ამბავი. თბ. , 2012;</p> <p>ჯ. კლარკი, რენესანსიდან დღემდე. , ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია. თბ. , 2010;</p> <p>ნ. მაჭარაშვილი, ნ. სილაგაძე, მსოფლიო ხელოვნება. თბ. , 2010;</p> <p>სამხატვრო ალბომების სერია - „დიდი მხატვრები“. თბ. , 2009-2010.</p> <p>სთოქსთედი, მ. ვ. ქოთრენი, ხელოვნების ისტორია XVIII საუკუნიდან დღემდე, თბ, 2017.</p>
21	<b>პოსტიმპრესიონიზმი (სეზანი, ვან გოგი, გოგენი)</b>	<p>ე.პ. გომბრიხი. ხელოვნების ამბავი. თბ. , 2012;</p> <p>ჯ. კლარკი, რენესანსიდან დღემდე. , ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია. თბ. , 2010;</p> <p>ნ. მაჭარაშვილი, ნ. სილაგაძე, მსოფლიო ხელოვნება. თბ. , 2010;</p> <p>სამხატვრო ალბომების სერია - „დიდი მხატვრები“. თბ. , 2009-2010.</p> <p>მ. სთოქსთედი, მ. ვ. ქოთრენი, ხელოვნების ისტორია XVIII საუკუნიდან დღემდე, თბ, 2017. მ. სთოქსთედი, მ. ვ. ქოთრენი, ხელოვნების ისტორია XVIII საუკუნიდან დღემდე, თბ, 2017.</p>
22	<b>პ. პიკასოს შემოქმედების ძირითადი ასპექტები</b>	<p>ე.პ. გომბრიხი. ხელოვნების ამბავი. თბ. , 2012;</p> <p>ჯ. კლარკი, რენესანსიდან დღემდე. , ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია. თბ. , 2010;</p> <p>ნ. მაჭარაშვილი, ნ. სილაგაძე, მსოფლიო ხელოვნება. თბ. , 2010;</p> <p>სამხატვრო ალბომების სერია - „დიდი მხატვრები“. თბ. , 2009-2010.</p> <p>ქ. შავგულიძე. ავანგარდი. თბ., 2007</p> <p>ქ. კინწურაშვილი. XX საუკუნის ხელოვნება (ავანგარდი). თბ., 2005</p> <p>სთოქსთედი, მ. ვ. ქოთრენი, ხელოვნების ისტორია XVIII საუკუნიდან დღემდე, თბ, 2017.</p>
23	<b>XX ს-ის არქიტექტურა.</b>	<p>ე.პ. გომბრიხი. ხელოვნების ამბავი. თბ. , 2012;</p> <p>ნ. მაჭარაშვილი, ნ. სილაგაძე, მსოფლიო ხელოვნება. თბ. , 2010;</p> <p>სთოქსთედი, მ. ვ. ქოთრენი, ხელოვნების ისტორია XVIII საუკუნიდან დღემდე, თბ, 2017.</p> <p>ნ. შავიშვილი, მ. გუჯაბიძე, მსოფლიოს უახლესი არქიტექტურა, თბ.,მ 2006.</p>

სასწავლო პროცესების სტრუქტურა

კოდი	წინაპირობა	საგანი/მოდული	კაბინაჟი	საათები			კრედიტების განაწილება			
				სულ	მათ შორის		I	II	III	IV
					საკონ	დამ.				
<b>სპეციალობის ძირითადი კურსები</b>			<b>65</b>				<b>15</b>	<b>10</b>	<b>10</b>	
M8g1		ხელოვნების ნაწარმოების ანალიზი და კვლევის მეთოდები	5	125	30	95	5			
M8g2		ხელოვნების ფილოსოფია	5	125	30	95	5			
M8g3		კულტურის სამართალი	5	125	30	95	5			
M8g4		უმალლესი სკოლის პედაგოგიკა	5	125	30	95		5		
M8g5		კულტურული მემკვიდრეობის მართვა	5	125	30	95		5		
M8p		სამუზეუმო პრაქტიკა	5	125	30	95			5	
M8g6		კვლევითი პროექტი	5	125	15	110			5	
M8g7		<b>სამაგისტრო ნაშრომი</b>	<b>30</b>	<b>750</b>	<b>40</b>	<b>710</b>				<b>30</b>
<b>მოდული: ძველი ქართული ხელოვნების ისტორია</b>			<b>35</b>				<b>10</b>	<b>15</b>	<b>10</b>	
M8b1-1		უძველესი და ანტიკური ეპოქის ხელოვნების ძეგლები საქართველოში	5	125	30	95	5			
M8b1-2		ანტიკური არქეოლოგია და არქიტექტურა	5	125	30	95	5			
M8b1-3		შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია	5	125	30	95		5		
M8b1-4		ძველი და ახალი აღთქმა	5	125	30	95		5		
M8b1-5		ქრისტიანული ლიტურგიკა	5	125	30	95		5		
M8b1-6		შუასაუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების ისტორია (ჭედურობა, რელიეფური ქანდაკება, მინიატიურა)	5	125	30	95			5	
M8b1-7		შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნება (კედლის მხატვრობა)	5	125	30	95			5	
<b>მოდული: თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორია</b>			<b>35</b>				<b>10</b>	<b>15</b>	<b>10</b>	
M8b2-1-1		მოდერნიზმი I	5	125	30	95	5			
M8b2-2		მსოფლიოს უახლესი არქიტექტურა	5	125	30	95	5			
M8b2-1-2	M8b2-1-1	მოდერნიზმი II	5	125	30	95		5		
M8b2-3		თანამედროვე ქართული მხატვრობა	5	125	30	95		5		
M8b2-4		XIX-XX სს-ის საქართველოს არქიტექტურა	5	125	30	95		5		
M8b2-5		ქართული სცენოგრაფიის ისტორია	5	125	30	95			5	
M8b2-6		თანამედროვე ქართული ქანდაკება	5	125	30	95			5	
<b>არჩევითი კურსები</b>			<b>20</b>				<b>5</b>	<b>5</b>	<b>10</b>	
M-US-9		ქართველი ხალხის ეთნოკულტურა	5	125	30	95				

M-US-11	საქართველოს ეკლესიის ისტორია	5	125	30	95				
M-US-12	ქრისტიანული სიმბოლიკა და კანონიკა	5	125	30	95				
M-US-13	ქრისტიანული დოგმატური ღვთისმეტყველება	5	125	30	95				
M-US-14	ეკლესიის ისტორია	5	125	30	95				
M-US-10	XX ს-ის მუსიკის ძირითადი ტენდენციები	5	125	30	95				
M-US-15	XX ს - ის ესთეტიკის ძირითადი თეორიები	5	125	30	95				
M-US-7	ქართული თეატრის ისტორიის პრობლემები	5	125	30	95				
M-US-5	გლობალიზაცია და თანამედროვე პოპულარული კულტურები	5	125	30	95				
M-US-6	საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია და ტაქტიკა	5	125	30	95				
M-US-4	სწავლა/სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები	5	125	30	95				
M-US-8	კულტურის მენეჯმენტი	5	125	30	95				
M-US-16	რუსული	10	250	60	190				
M-US-1	ინგლისური	10	250	60	190				
M-US-17	მარკეტინგული კომუნიკაციები	5	125	30	95				
M-US-18	კინემატოგრაფის ძირითადი ტენდენციები	5	125	30	95				
M-US-19	პრაქტიკა	5	125	30	95				
<b>სულ</b>		<b>120</b>	<b>3000</b>	<b>560</b>	<b>2440</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>